

K61.968
2



სახელგამის მე-2 სტამბა
ლენინის ქუჩა № 3.
შტკვ. 238 ტირ. 3.000.
მოაქვითი №78.



Մ. Ե. Երևան

სოციალიზმის კალატოზებო!
თქვენ განმარჯვებთ დიად სუთწლედის
მეორე წლის ბაკიკადაში...
დაანთებთ ზეგონის ვნებუნიანში
სოცდემონებლოვის უფრო გადამწყვეტ
მესამე წლის ბაკიკადაში!

წინასიტყვაობის გაზიარება

„Для того, чтобы появилась настоящая пролетарская поэзия, необходимо чтобы психика художника была не только творческой, но и пролетарской“.

В. В. Воровский

896192

პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფება, როდესაც აღარ გვიბედა დავა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა გარდამავალ—პროლეტარიატის დიქტატურის—პერიოდში პროლეტარული ხელოვნების და კერძოდ მხატვრული ლიტერატურის შექმნა. ეს საკითხი სადავოდ იყო გადაქცეული მხოლოდ მათთვის, ვისაც არ მოეპოვებოდა სუბიექტური შესაძლებლობა მოვლენათა მარქსისტული განჭვრეტის და ობიექტური შეფასების. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია არა მარტო პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტზე, არამედ კულტურული აღმშენებლობის ისეთ სფეროშიაც კი, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა-მწერლობა ეწოდება. შორს აღარ არის ის მომენტი, —რომელიც შემდეგ ისტორიულ სიბრტყეზე გაიშლება, — როდესაც პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი ხარი ჰეგემონიის მწვერვალებიდან დარეკს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოცემული პირობები შესაძლებლობას იძლევიან უფრო სწორად შევაფასოთ ცალკე პროლეტარული მწერლის — ბელეტრისტის თუ პოეტის შემოქმედებითი გზები და პერსპექტივები. ამას მოითხოვს თვით პროლეტარული ლიტერატურის განვითარების ინტერესები.

კერძოდ, ამ წერილში გვსურს მკითხველის ყურადღება პროლეტ. პოეტის — ფრიდონ ნაროუშვილის პოეტური შემოქმედებითი გზების ზოგად განხილვაზე შევაჩეროთ. ჩვენ აქ ავიღეთ ნაროუშვილის შემოქმედებითი გზების ზოგადი განხილვა იმიტომ, რომ: 1. შეუძლებელია ამ პატარა წერილში ნაროუშვილის მთელი შემოქმედების მარქსისტული ანალიზი, რადგან ეს მიიღებდა მშრალი სქემის სახეს, 2. კიდევ იმიტომ, რომ ამისათვის ჯერ არც დრო დამდგარა.

* * *

ფრიდონ ნაროუშვილმა თავის შემოქმედებით გზათვის გზა აიღო, რომლითაც ალ. ბეზიმენსკი მიდის:

„Прежде всего
Я член партии,
А стихотворец — потом“

„გზა ბოლშევიკის შენი (პოეტის, ე. ა.) გზა არის“ (ფრ. ნაროუშვილი).

ეს ბუნებრივი იყო ნაროუშვილისათვის, რადგან მას, როგორც ძველ კომკავშირელს და პოეტს, ღრმად სწამდა, რომ ამ გზის გარეშე შეუძლებელი იყო იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების რთული პროცესები უყენებდა საერთოდ მხატვრულ-

ლი სიტყვის ოსტატს. როდესაც თვითეულ მწერლის წინაშე დაისვა კითხვა—ცხოვრებასთან უშუალოდ მისვლა და მხატვრული შემოქმედება, თუ „ესტეტიური“ ხეტი-ლი პასივობაში?—ამ კითხვაზე შემოქმედებით პასუხის გაცემა ნიშნავდა მწერლის ნამდვილი სახის გამორკვევას. იშვიათი არ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც პროლეტარული მწერლის ნაწარმოები მოკლებული იყო თანამგზავრულ ტენდენციებსაც კი, როდესაც შემოქმედებით გზათ პროლეტარულ რეალიზმის ნაცვლად რომანტიზმს, ან გმირულ რეალიზმს იღებდა, რითაც იგი ფსიქოლოგიურ რეალიზმის—არსებითად იდეალიზმის რელსებზე გადადიოდა. ფრ. ნაროუშვილი ყველა ასეთ ჩაუარდნებიდან დაზღვეულია და მისი შემოქმედებითი მეთოდი არის არა რომანტიზმი და გმირული რეალიზმი, არამედ პროლეტარული რეალიზმი, იდეალიზმის (ფსიქოლოგიური რეალიზმის) ნაცვლად დიალექტიკური მატერიალიზმი, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია, როგორც დღევანდლობის, ისე მომავლის (იმის, რაც არის და რაც უნდა იყოს) რეალურ ასპექტში განჭვრეტა. დიალექტიკური მატერიალიზმი არის ერთად-ერთი მეცნიერული თეორია, რომელიც იძლევა სრულ შესაძლებლობას მოვლენათა ცვალებადობის და მათ შინაგან წინააღმდეგობათა გარკვევისას. ამასთან ერთად, ნაროუშვილს კარგად ესმის დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი კანონი—წინააღმდეგობათა ერთიანობა და მას მეტად მოხერხებულად იყენებს თვითეულ მხატვრულ ნაწარმოებში („ორი მისამართი“, „კორლანი“, „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“ და

სხვ.). ეს ადვილად გასაგებია, რადგან მეთოდი გარკვეულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს. ე. ი. ესა თუ ის შემოქმედებითი მეთოდი მუშავდება გარკვეულ კლასობრივ მსოფლმხედველობის პრინციპებზე. აქედან ცხადია, რომ ის, რაც მისაღებია დიალექტიკურ მატერიალიზმისათვის, როგორც პროლეტარული მსოფლმხედველობისათვის, მიუღებელია იდეალიზმისათვის და წინააღმდეგ, და ნაროუშვილიც, როგორც პროლეტარული მწერალი — მარქსისტი, თავის შემოქმედებით მეთოდით იღებს მარქსისტულ მეთოდს — დიალექტიკურ მატერიალიზმს — მის კონკრეტულ საცდის ფორმაში პროლეტარულ რეალიზმს.

თქმული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს საკმარისია იყო პროლეტარული მწერალი, რომ შეიარაღებული იყო ჭეშმარიტი მეცნიერების ბასრი იარაღით, დიალექტიკური მატერიალიზმით, მაგრამ, ის კი ცხადია, რომ პროლეტ. მწერალს ასეთი იარაღი აუცილებლად უნდა გააჩნდეს. ეს უკანასკნელი მოითხოვს მწერლის კლასობრივ გამოზრდილობას, თეორეტულ და პოლიტიკურ მომზადებას. პროლეტარული მწერალი მოკლებული ყოველგვარ ამ ძირითად პირობებს, იმყოფება კლასობრივად უცხო იდეოლოგიის მეთოდოლოგიის გავლენის ქვეშ და ის ხშირად ობიექტურად მტრის საქმეს აკეთებს, რადგან ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოების განხილვის დროს ბუნებრივად საკითხი სდგას არა ისე, თუ მწერალს სუბიექტურად რა სურს მოგვცეს, არამედ თუ რა

მოგვცა მან ობიექტურად, ე. ი. მარქსის-
სტული ანალიზი არკვევს ნაწარმოების
ობიექტურ-იდეოლოგიურ არსს და მის
უტილიტარულ მნიშვნელობას.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ფრიდონ ნაროუშვი-
ლის მხატვრული ფაქტები ვითარდებიან პროლეტარულ
რეალიზმის გზით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენები და
ფაქტები განჭვრეტილია მეცნიერულად ისე, როგორც
ისინი არიან და როგორც უნდა იყვენ. პროლეტარული
რეალიზმი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ყოფით მოვ-
ლენებს—წინააღმდეგ რომანტიზმისა სჭვრეტს რეალუ-
რად—დიალექტურ პროცესში, მხატვრულ ტილოებზე გა-
დატანის დროს არ უცვლის სახეს და მხატვრული სიტყვა,
რომ შემდეგ სოციალოგიურ ენაზე გადავიტანოთ სავსე-
ბით არ შეიბღალება სინამდვილე. ასეთ პრინციპზეა აგებუ-
ლი და გაშლილი ნაროუშვილის თითქმის ყველა ნაწარ-
მოები, განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ორი მისა-
მართი“ „რევკომის თავმჯდომარე იყო შო-
ფერი“¹⁾, „ხოლტი ეწევა აგიტაციას“, —
„ყორდანი“, „პოლიტიკური პოეტის დე-
კლარაცია“ და სხვა.

რომანტიზმი და ფსიქოლოგიური რეალიზმი ხში-
რად მწერალს ყალბ გზაზე აყენებს და ნაწარმოები ობიექ-
ტურად სხვა აზრების მონა ხდება (მაშაშვილის — „ძველი
მაზარა“, „დარიალი“, ნაწილობრივ „აი, ადამიანი“ და
სხვა. კ. ლორთქიფანიძის ფსიქოლოგიური რეალიზმის მე-
თოდით დაწერილი „პირველი დედა“, პოლუმორდინოვის

¹⁾ ტენდენციურმა კრიტიკოსებმა ამ პოემაში ოპორტუნისტუ-
ლი გადახრა (!) „აღმოაჩინეს“ (ვაი საკვირველებავ! — სადნამდის მივა
„აზროვნების“ თავისუფლებას!). ე. ა.

მთელი რიგი მოთხოვნებისა, ვაკელის და კალაძის (უკ-
სები და სხვ.), ამიტომ, მწერლის იდეოლოგიური სიმტკი-
ვის ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს მეთოდოლო-
გიური გარკვევა და თეორეტიულ-პოლიტიკური მომზა-
დება—სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა,
რაც ერთობ ძალიან ესაჭიროება ყველას განურჩე-
ვლად.

მეთოდი, როგორც მსოფლმხედველობა და მხატვრულ
იდეოლოგიის სფეროში მუშაობის ხერხი, საზღვრავს ეპო-
ქის მოთხოვნილებებთან მისვლის გზებსაც. კლასობრივად
გამობრძმედილ და პოლიტიკურად მომზადებულ პროლე-
ტარულ მწერალს კარგად ესმის ის ძირითადი ამოცანები,
რომელსაც სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის
გაზრდილი მოთხოვნილებები უყენებს და ისიც ამ მოთ-
ხოვნილებათა მაგისტრალურ ხაზებში აქცევს თავისი მხატ-
ვრული შემოქმედების თემატიურ და ფორმალურ განვი-
თარებას. პროლეტარული მწერლობა განვითარების ისეთ
ეტაპზე იმყოფება, როდესაც ბოლშევიკურ ბრძოლას აწარ-
მოებს იდეოლოგიურ, თემატიურ და ფორმალურ სრულ-
ყოფისათვის—ჰეგემონიის მწვერვალების დასაპყრობად.
ეს კი თავისში იტევს იმის გაგებას, რომ პროლეტარულ
მწერლობამ დროულად უნდა უყოს ლიკვიდაცია საერთო
ტემპებისაგან ჩამორჩენილობას და ახლო მივიდეს თავი-
სი მხატვრული აზროვნებით, სახეებით ყოველდღიურო-
ბასთან, რის გადაწყვეტაც შეუძლებელია ყველა მეთოდით.

შეიძლება ითქვას, რომ მეთოდი (მსოფლმხედველო-
ბა) ყველაფერია, იგი საზღვრავს არა მარტო ეპოქასთან
მისვლის ორიგინალურ ხერხებს, გზებს, ან აკვლევს საზო-
გადოებრივ მოვლენებს, არამედ საზღვრავს აგრეთვე მხატ-
ვრული აზროვნების თემატიკასაც. ვის შეუძლია ემსა-

ხუროს დღევანდელობას თუ არა პოლიტიკურად მიმზადებულ და მარქსისტული მეთოდოლოგიით შეიარაღებულ მწერალს, ისეთ მწერალს, როგორც დემიან ბენდი და ალექსანდრე ბეზიმენსკია (მინუს ბეზიმენსკის მექანიკური შეცდომები). ამ პლანით არის შესანიშნავი ფრ. ნაროუშვილის შემოქმედებაც. სოციალისტური მშენებლობის გაზრდილმა ტემპებმა მთელი რიგი გახმაურებული პროლეტარული მწერლები უკან მოიქცია. მაშაშვილის ინდივიდუალიზმი და ანარქიზმი ვერ შეეგუა დღევანდელობის ძირითად მოთხოვნილებებს, ვაკელი და კალაძე შეცდომათა რკალში მოექცენ, ლორთქიფანიძე პოეზიიდან უმთავრესად ბელეტრისტიკაზე გადავიდა და ფსიქოლოგიური რეალიზმის მეთოდით ახდენდა მოვლენების და პიროვნებების გაორებას¹⁾—„პირველი დედა“ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლორთქიფანიძე შედარებით უფრო ნაყოფიერად მუშაობდა ნარკვევის დარგში და აქ მან მოგვცა იდეოლოგიურად და ფორმალურად მეტად გამართლებული ნაწარმოები—„ახალი გლეხები“, ყურადღების ღირსია მისი უკანასკნელი ლექსიც—„1931.“) უკანასკნელ წლებში ყველაზე ნაყოფიერად პოეზიის დარგში ნაროუშვილი მუშაობდა. წამოიწია ახალი კადრებიც (გ. კაჭახიძე, აბაშიძე, ადამია და სხვ.), რომლებიც იბრძოდნენ შექმნილი ხარვეზების შესავსებათ. ამ უკანასკნელთა შემოქმედებითი მუშაობაც შესანიშნავია განსაკუთრებით თემატიკით და მეთოდით.

1) ზოგიერთმა პანიკორებმა ეს მოვლენა პოეზიის კრიზისათ გამოაცხადეს. მათთვის გაუგებარია ის გარემოება, რომ შესაძლებელია საზოგადოებრივ განვითარების სწრაფმა ტემპებმა ცალკეული პოეტი დააყენოს კრიზისის წინაშე იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იგი შესძლებს ან ვერ შესძლებს უპასუხოს ეპოქის მოთხოვნილებებს, რაც შეიძლება განვითარების ან ზრდის სიძნელეებს მიეწეროს და არავითარ შემთხვევაში პრ. პოეზიის კრიზისს. ე. ა.



თემის საკითხი პროლეტარული მწერლობის შე-
მოქმედებით მუშაობაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხია
დღეს. უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აქ-
ტუალურ თემებზე მუშაობით მწერალი ემსახურებოდეს
დღევანდელი მობრუნების ძირითად მოთხოვნებს, რომ მწერ-
ლობაში მხატვრულ გამოძახილს პროლეტარი-
ატის დიქტატურის სამეურნეო და პოლიტიკური განვი-
თარების მომენტები, ე. ი. პროლეტარული მწერლის თე-
მა არ შეიძლება იყოს მოწყვეტილი პროლეტარიატის ცხოვ-
რებას ან კიდევ მხოლოდ იმით ისაზღვრებოდეს. პრო-
ლეტარულმა მხატვრულმა ლიტერატურამ გარდა იმისა,
რომ მან უნდა გვიჩვენოს პროლეტარიატის ყოველდღიუ-
რი გამარჯვება, სოციალისტური მშენებლობის მიღწევე-
ბი, უნდა გვიჩვენოს აგრეთვე ისიც, თუ როგორ იხრწნე-
ბიან და ისაბიან კაპიტალისტური ელემენტები, იგი უნ-
და ჩასწვდეს ადამიანთა ფსიქოლოგიასაც. ხელოვანმა, რო-
მელიც, კლასთა ბრძოლას გვიხატავს, უნდა გვიჩვენოს
თუ კლასობრივი ბრძოლით, როგორ ისაზღვრება მოქმედ
პირთა სულიერი წყობა, როგორ განსაზღვრავს იგი მათ
აზრებს და გრძნობებს.

ასეთი ფართოა პროლეტარულ მწერლობის შემო-
ქმედებითი არე.

თუ ნაროუშვილს პირველ პერიოდში უმთავრე-
სად (არამთლიანად) გლახური¹⁾ თემატიკა ახასიათებდა—

¹⁾ ზოგიერთი კრიტიკოსი ამის გამო ნაროუშვილს გლახურ მწერ-
ლობას აკუთვნებს, აქ აშკარად პრინციპიალურ შეცდომასთან გვაქვს
საქმე, რაც თვით ცნება „გლახური მწერლობა“ გაუგებრობიდან
გამომდინარეობს. გლახუ მწერლობის საკითხში პრინციპიალური ხა-
სიათის შეცდომა დაუშვა ბ. ბუაჩიძემაც საქ. კ. კ. მე-10 ყრილობაზე,
როდესაც ვერ გაითვალისწინა ის უდიდესი პროცესები, რომელიც
სოფლებში ხდება და პირველ ოიგში გლეხური და შემდეგ რიგში
კოლმეურნე და საბჭოთა მეურნე მწერლები დააყენა (ესარგებლობთ
შეუბნალავ სტენოგრაშიდან) ე. ა.

„მე უმღერ გლეხებს არა გლეხურად,
გლეხურ ბუნების უარმყოფელი:
ისპობა ძველი კერა და ეზო,
ახლად შენდება ჩვენი სოფელი“.

რომლის გადაწყვეტაც ყოველთვის პროლეტარულ-ბოლ-
შევიკური იყო, შემდეგ წლებში—29-30-31—ნაროუ-
შვილმა ყველა აქტუალურ თემების დამუშავება იწყო („ორი
მისამართი“, „დავეწიოთ და გავუხსწროთ“, „ქალადიდი“,
„ობივატელი, როგორც ნამდვილი ცხოველი“, „პოლიტი-
კური პოეტის დეკლარაცია“ და სხვ.).

ესლა პრ. ლიტერატურის ჰეგემონიისათვის გამძა-
ფრებულ ბრძოლის პერიოდში ვიმყოფებით. ჰეგემონიის
მოპოვება ნიშნავს თემატიურ, იდეოლოგიურ და ფორმალურ
სრულყოფას, ამიტომ არ შეიძლება, როდესაც მწერლის
შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, ცოტად თუ ბევრად არ შევე-
ხოთ ფორმასაც. ნაროუშვილის ზოგიერთ ნაწარმოებს
ახასიათებდა ხალხური პოეზიის გავლენა, ზოგიერთი
უკულტურო სტრიქონები¹⁾. ეს მდგომარეობა, ნაროუშვი-
ლის უკანასკნელ ფაქტებში დაძლეულია და იგი (ნაროუ-
შვილი) მიდის მხატვრულ მალლობებისკენ, მაგრამ, სულ
სხვა გზით, ვინემ მაშაშვილი. მაშაშვილი ფორმით სა-
ზღვრავს შინაარსს, ნაროუშვილი კი ფორმას და შინა-
არსს იღებს მთლიანობაში. მაშაშვილის შემოქმედებაში
ჩვენ შეგვიძლია ფორმალისტური სკოლის გავლენის სა-
შიშროებაც დავინახოთ.

ერ. ახტვაცატუროვი

1) ეს უკულტურობა ჯერჯერობით დამაზასიათებელია ზრდის
პროცესში მყოფ პროლეტარეზისათვის საერთოდ.



Мне В. Ч. Н.—маяк,
Врага,—кричу,—руби!
Наждая пуля В. Ч. Н.—моя,
Наждую жертву и я убил!
ალ. გეზიშვილი.


Где Волга скажет „лю“
Янтцеганг промолвить „блю“
И Миссисипи скажет „вес“
Старик Дунай промолвит „мир“
И воды Ганга скажут „я“

В. ХЛЕБНИКОВ

Handwritten number 561368

Handwritten number 01/501

1. შენ ძღვევამოსილ სოციალიზმის
აღმშენებლობის ეპოქის პოეტი—
ხედავ, თვალებით გამგელებულით,
როგორ ამზადებს ომს უცხოეთი.
ხედავ ბურჟუის თვალთა ბრიალი
განათებაა ახალ ომების,
ყველგან აჩრდილი დადის ზრიანის
როგორც ჯალათი მილიონების.
და შოვინიზმის ალესილ დანით
ისევ აჩრდილი ქიმიურ ომის...
ღალატი ყველგან!.. ხმა გომინდანის
რევოლიუციის ჩაქრობის მდომის.
„თავისუფლების“ დალალს გაიშლის
პაციფისტურად ბურჟუის ქალი.
ღალატი ყველგან!.. ხმა ჩანკაიშის
მოისმის როგორც ომის გრივალი.
ძირს საზიზღარი „თავისუფლება“,
მტერის ნიღაბი, ომების ბუდე!..



ღალატი ყველგან!.. მთელი ჩინეთის
გასაბჭოებას ღრიალებს ჩუდე.

ღალატი ყველგან!.. თავდება ტაშით
ლორდ-მინისტრების ცხარე კამათი...
დადის კაუცკი პან-ევროპაში
როგორც ბელადი ორ-მისამართით.

2. მაგრამ—ჩვენ „რადაც“ მოგვეპოება
კრეისერები დგანან „მონებად“...
ასე იწყება შენი პოემა—
ვით პოეტური გამოგონება.
არა ტოლსტოის მუხის ხიზანი...
როგორც დამკვრელმა ძალა იღონე!
ოსტატმა, მუშამ—ჩვენი დღისანი—
შენ პოემები გამოიგონე!

3. როგორ იზრდება ჩვენი ეპოსი!
აი რომანი კიდევ მზად არი!
მოდის ეპოქის პროზაიკოსი
კლასიკოსების ეტლში ჩამჯდარი.

4. მზე სადღაც არის გადაკარგული,
ღამე გამეფდა ფერი ჩადრისო.
მთებზე ზეცაა ლურჯად დადგმული
მთვარე ამოდის და მზე ჩადისო—
უკვე გონებამ გადაიაზრა
შთაბეჭდილება ცრუ-წინაპრული,
შენი პოემის ყოველი ფრაზა,
მეცნიერულად არის მხატვრული.

5. იყო ქადაგი ხუჭუჭთმიანი
„სოციალისტობით“ დამშვენებული,
შენ ხარ დამკვრელი ადამიანი
თვით სოციალიზმის აღმშენებელი.
არა ნივთების ლეფისებური
ხარ გეოგრაფი და ფიქსატორი,
კლასი—ლენინიზმ შეთვისებული
არის ოსტატი და დიქტატორი.

6. იმის წიაღში გვამები ყრია,
ვინც რესპუბლიკის... იყო ორგული,
მან დიქტატურას ესროლა ტყვია,
ძეგს დიქტატურის ტყვიით მოკლული.
შენ პოეტი ხარ—პოლიტიკური,
შენი ველების, შენი მთებისა,
შენ, რესპუბლიკის მკვლელის მკვლელი ხარ,
როგორც ჯალათი ჯალათებისა.

7. შენს გონებაში არ დარჩენილა
შხამი წინაპართ, შხამი გველური,
უკრაინული თუ ქართველური
კიციჭამიის გრძნობა ველური.

8. ხდება ერების გარდაცვალება,
კვდება რუსეთი, კვდება გრენადა...
გინდა იხილო შენ მუხეუმი
კაცობრიობის ურიცხვ ენათა.
სადაც კიღია კოსტუმი, ფარი
ყოველ კუთხიდან, ყოველ ერების,
სადაც კიღია თვით ნიკო მარი—

ვით პრეზიდენტი მკვდარი ენების.
სად შემოდინა ექსკურსანტები,
სად მუმიებიც არის დადგმული...
აი სიძველის ექსპონატები,
აი ენები სახელგანთქმული.
სადაც ფრანგული, სადაც თათრული,
იქვე ინდური, იქვე ჩინური,
სადაც სომხური, სადაც ქართული—
იქვე სანსკრიტი და ლათინური...
შედის მკვლევარი „თვალეზამშვარი“
გენიოსების „საიქიოთი“...
აი მომაკვდავ ბგერების პწკარი,
აი დიდი ხნის მკვდარი „იოტი“.

9. ხმა გაქვს მრისხანე და შესაზარი,
როგორც პოეტი პოლიტიკოსი...
გზა ბოლშევიკის, შენი გზა არის
და „სად მივდივართ“—ჩვენი ეპოსი.

10. შენ ერთნაირი გაქვს სიხარული
ყოველ მთების და ყოველ მხარეთა,
შენ მშობლიური გაქვს სიყვარული
კაცობრიობის დიდ მდინარეთა...
გესმის ნილოსის ღელვის ხმაური
გამოძახილი მთა და ბარისა
ვოლგა... ხუანხე... ლენა... ამური...
და წყალვარდნილი ნიაგარისა.
არა „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი“,
და „ეროვნული“ მტკვარის დუღუნი!
შენს პოემაში მოისმის ზღვათა
და მდინარეთა მძლავრი გუგუნი.

11. გემებს გემები ეომებიან
 აბობოქრებულ ზღვაზე დილისას,
 წიგნში გმირები იღუპებიან
 ვით აბსტრაქცია სინამდვილისა.
 რომ მტერს ახადოს მტერმა ნილაბი,
 დადის თეთრებში ნილაბოსანი;
 მოხერხებულათ გაიქცა ღამით,—
 იყო წითლების თურმე მგოსანი.
 თუ შენთან არის ამხანაგით
 მტრის ბანაკიდან გამოპარული.
 ველარ აგხადოს მტერმა ნილაბი!
 ველარ გაიგოს ზრახვა ფარული!
 გემებს გემები ეომებიან...
 რომ სდუმს,—საბჭოთა კრეისერია...
 შენახულია ფრიად იღუმლად
 შენთვის თემების მთელი სერია.

12. რომ რესპუბლიკა სოციალისტური
 მძიმე ინდუსტრიით იყოს მოფენილი,
 მისი ორგული და მავნებელი
 დიქტატურის ქუსლით იყოს გათელილი...
 ვაშა—გ. პ. უ.—შენი განაჩენი
 ბოლშევიკურად არის დაწერილი!
 როგორც პოეტმა—პოლიტიკურმა
 უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი:
 სოციალიზმის ყველა მავნებელი
 დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი!
 ვაშა, გ. პ. უ., შენი განაჩენი
 ბოლშევიკურად არის დაწერილი!

13. სახლი ინჟენერს რეაქციონური
ძველთა ნანგრევზე აუშენებია,
ციხისებური, რალაც ეროვნული
ორნამენტებით დაუმშენებია...
მტრობა ქონია „გულში“ განზრახული
შავრაზმელების ფარულ მიზნებიანს,
რომ დაელუბა ჩვენი გაზატხული...
რომ ქვემეხები დაემიზნებია.
განთქმულ ინჟენერს ჩვენი რესპუბლიკის
აღორძინებით „გაუხარებია“,—
თურმე ქონია ზრახვა ჯალათური
თურმე ნილაბი აუფარებია...
კლასიურია ძალზე შენი ნერვი,
ხარ კლასიური ღვარძლით ბედნიერი:
ტყვიით გახრული შუბლი ინჟენერის
პოეზიაა შენთვის მშვენიერი...

14. შენ დიქტატურის თუ ხარ მომღერალი
კაცობრიობა იყოს ბედნიერი:
ტყვიით გახრული შუბლი გენერალის
პოეზიაა შენთვის მშვენიერი.
მაინც იმარჯვებ თუ არ გადარჩები
კაცობრიობა არის შენი ერი,
მტერის დახვრეტა, კლასის განაჩენი
პოეზიაა შენთვის მშვენიერი.

II

1. როცა ბობოლას, ამბობს კიროვი,—
ბოლშევიკურად ყელს წაუჭირეთ,
გამოაჩინა მგლური კბილები,

როცა სიცოცხლე მას გაუჭირეთ...
ბუნებრივია—გაიღმუილა,
როგორც არასდროს თავის დღეშიაც,
კლასობრივ მტერის მგლური ღმუილი
ჩვენ გავიგონეთ ფაბრიკებშიაც...
თუმცა ძნელია წარმოიდგინო,
მაგრამ არ არის ეს ხომ ტყუილი
არა „უბრალო“ ამხანაგებმა
გაიმეორეს მგელის ღმუილი...
მათ მოეჩვენათ ბრძოლის წაგებად
ბრძოლა ბოლომდის დაუთმობელი,
მათ მოეჩვენათ, მათი გაგება:
თითქოს ღმუოდა მთელი სოფელი.
ბოლოს,—აგრძელებს ისევ კიროვი,—
სურდათ გარდაქმნა პოლიტიკური...
სინამდვილეში მხოლოდ კულაკი
გამდიდრებული სისხლიან პურით
ღმუოდა მგლურად... ისმენდა ღმუილს
თვით ბუხარინის ფაქიზი ყური...

2. შეტევა მარჯვნივ, შეტევა, „მარცხნით“!
ბრძოლა აშკარა! ბრძოლა ფარული!
მგლების ღმუილმა ვერ დაამარცხოს
პარტიის ხაზი გენერალური!
ერთი და არა მრავალი გზანი
აბობოქრების, რღვევის ხანაში!..
სოციალიზმი, ჩვენი მიზანი
ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.
მაშინ მტერს გული ბოლმით ევსება,
როცა „ხოლტების“ ქარავანები

ჩვენს რესპუბლიკას შემოესევა
როგორც ხუთწლედის ფალავანები.
შეტევა მარჯვნივ! შეტევა „მარცხნივ!“
ბრძოლა აშკარა! ბრძოლა ფარული!
მგლებს ღმუილმა ვერ დაამარცხოს
პარტიის ხაზი გენერალური!

3. როცა კუნთები დაქიმულია
შრომობს არმია გულაგზნებული,
როცა გარშემო მგლები ღმუიან
ვით მემომარი დაბერებული,
როცა იმარჯვებს სოციალიზმი
ზარბაზნების ქვეშ დაყენებული, —
დგას დიქტატურის ციხე-სიმაგრე
რკინა-ბეტონის ურყევი დამბა,
გეგმაზე მეტი ქვეყანას ნავთი,
გეგმაზე მეტი ქვეყანას ბამბა.
მტერს დაბერებულს დაესხმის რეტი,
როცა იზრდება ციფრები მუნჯი:
მიეც ქვეყანას გეგმაზე მეტი..
ნავთი, მაზუთი, ფოლადი, თუჯი.

4. შეტევა მარჯვნივ! შეტევა „მარცხნივ“!
ბრძოლა აშკარა! ბძოლა ფარული!
მგლებს ღმუილმა ვერ დაამარცხოს
პარტიის ხაზი გენერალური!
ტრიანგლს კლასთა ბრძოლის ბორბალი,
გამოჩნდა ნიღლი ქიმიურ ომის,
მიეც ქვეყანას მეტი ხორბალი
თუ გამარჯვების გულით ხარ მდომი.

5. ტრიალებს კლასთა ბრძოლის ბორბალი,
ღელავს ეპოქა არგაგონილი,
მიეც ქვეყანას მეტი რომანი
ბოლშევიკურად გამოგონილი.
ეპოსის მძიმე არტილერია
რომ ამოთხაროს ბებერი ფესვი, —
მიეც ქვეყანას პოემები და
გეგმაზე მეტი ბომბა და ლექსი.

6. რომ ააფეთქოს გლეხმა კორღანი,
რომ დაირაზმოს კოლექტიურად,
რომ იზრდებოდეს დოვლათი ყანის
კოლექტივებში ყოველწლიურად —
ეპოსის მძიმე არტილერია
რომ ამოთხაროს კულაკის ფესვი,
მიეც ქვეყანას პოემები და
გეგმაზე მეტი ბომბა და ლექსი.

7. მე მესმის როგორც კატის კნავილი,
დორბლმორეული შხამით და გესლით
კაცის წუწუნი მეშჩან ქალივით...
მიეც ქვეყანას ბომბა და ლექსი
კლასობრივ ღვარძლით, ტყვიით ნატენი
ფოლადისებურ რითმით ქარგული,
რომ ააფეთქოს ობივატელის
ჩერჩეტი გრძნობა, ტვინი და გული.
მესმის მეშჩანის რიგებში დგომით
ქარაფშუტული გაკაპასება:
„რიგებს მოყვება უთუოდ ომი
ოჰს სინამდვილის გადაფხება“

განჩხლებულა, სუფრის მარილი,
ჩაი, შაქარი ვერ უყიდი...
ქალბატონს უნდა ფერ-უმარილი
და... სოციალიზმი ფეხზე კილია.
კიდევ მეშხანი... მამრობით სქესის
კიდევ „საბჭოთა“ თურმე მწერალი...
მიეც ქვეყანას ბომბა და ლექსი
რომ ააფეთქოს ეს „მომღერალი“...
კიდევ მეშხანი... „ქართული ქალი“,
შავ-თმა ხუჭუჭა ქართველოსანი.
„ქართული“ მიწის, როგორც წუნკალი
დინგით მთხრელი და მისი მგოსანი.

8. მაშინ, როდესაც ინტერნაციონალს
ფართოდ გაუღეს „ერებმა“ კარი,
მე აღარ ვიცი თუ სად თავდება...
და სად იწყება „სომხური მტკვარი“.
მოსპო საზღვარი „ტეტია“ გლებმაც,
გლებმაც გადაჭრა მიჯნის პრობლემა,
მაგრამ პროფესორს აწუხებს ეხლაც
მიჯნა სომხებთან სად იმყოფება.

9. თვით პროფესორი ჯავახიშვილი,
და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“,
კაციქამია კოტეტიშვილი—
პლესადა წუნკალ შოვინისტების.

10. არ ვიგინები... მაინც ხელს გვიშლის
ჩვენ უხორცობა ყოველდღიურად,
წუნკალი ღორი „ქართული ჯიშის“
უხეიროა პროდუქტიულად.

არ ვიგინები... ვამბობ სანიშნოთ,
გვინდა პროდუქტი საღ „გემოვნების“,
თქვენ რომ წუნკალი გადააჯიშოთ
გამოვა ღორი სხვა „ეროვნების“...
ხორცის პრობლემა გადაიჭრება
თუ კოლექტივი არის მთლიანი,
რაც შეიძლება ქვეყნად ღორები
გამრავლდეს უხვი პროდუქტიანი.
რაც შეიძლება შემცირდეს რიცხვი
ქართველ მეფეთა შვილიშვილების,
რაც შეიძლება გამრავლდეს რიცხვი
წუნკლების ნაცვლად იორქშირების!

11. ასეთი არის სურვილი მასის,
სურვილი ახალ მებრძოლ რაზმების
დღეს „ინდივიდუა დაკარგა ფასი“...
და დავაქვაცდენ „პროტოპლაზმები“.
გახდენ მებრძოლი პროფესორები
„კომსომოლები“ გუშინდელები,
მოდით შეებით „დარბაისელნო“
აკადემიზმით რომ იბერებით.
„დარბაისელნო“ ბოლშევიკური
დაწყებულია ბრძოლა უნდობი,
რომ ააფეთქონ იდეალისტურ
თეორიების უხვი ბუდობი.

12. აი დიადი ჩვენი ეპოსი!
ჩვენი სიცოცხლე და სიხარული!
სოციალიზმი დღეს ჰომიროსის
არ გახლავთ სიბრძნე ლეგენდარული.

ერთი, და არა მრავალი გზანი
აბობოქრების, რღვევის ხანაში!
სოციალიზმი — ჩვენი მიზანი
ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.
შეტევა მარჯვნივ! შეტევა მარცხნივ!
ბრძოლა აშკარა! ბრძოლა ფარული!
მგლების ღმუილმა ვერ დაამარცხოს
პარტიის ხაზი გენერალური.

Нельзя отставать от движения, ибо отстать—значит оторваться от масс, но нельзя и забегать вперед, ибо забежать вперед—значит потерять связь с массами.

Сталин.

მგზავრი ჩერდება ამ შარავზაზე, ჩაფიქრებული ის თავისთავად ხედავს, კიდია გლეხის ჭიშკარზე ნალი ცხენისა და თავის ქალა. რის ნიშანია, ხომ უმიზეზოთ არ ჩამოკიდა ჭიშკარზე ნალი: „მიმოგზაურმა გათვალა ეზო, მიმოგზაურის ბოროტი თვალი!“

შავი ქობია მისი ქონება
ეზო, კერაზე ცეცხლი ხალასი
და სჯერა ძალა გლეხის გონებას
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასი.
ზეცას, წმინდანებს აქცია ზურგი,
გადაისროლა ხატიც ნაგავში,
ღმერთის მაგიერ იწამა ხურგი—
ღრმად ჩასობილი თავის ქალაში,
იყო ღრო, ესეც აღარ ქონია,
გარდა წაქცეულ წინაპართ ქობის,
მისთვის ძვირფასი მოსაგონია
დედის ზანდუკი და ძველი ნოხი.

„ღმერთის დედასაც... სადმე თუ იყო
თანასწორობა გამოეყვანა,
ღმერთი რა არი, რომ ყოფილიყო
ციდან ხორბალი ჩამოეყარა.

„ასორმოცი წლის ბრძენი, თავაზი
მყავდა ბაბუა მე გულთააზრი,
ქონდა სახელი მას მთელი მაზრის,
მრავალწლოვანი შუბლზე ხაზები,
იცოდა სიტყვის და ანდაზების
გასაოცარი გამოგონება:
მხოლოდ ჩემია ჩემი ქონება.

„დარჩა სურათი დაუხატავი.
წუხელ სიზმარში ცოცხალს ვხედავდი,
ქონდა მარქსივით ვეება თავი
და ვერცხლისფერი წვერი მკერდამდი.
მისი გული ვართ ჩვენ მისი ძენი,
გრძელდება გვარი ჯიშთან მოდგმის,
სახელგანთქმული სამაზრო ბრძენის
სისხლი გლეხური ჩვენამდი მოდის.

„ხელის მოწერა მან არ იცოდა,
მაგრამ ნაცარი ჩამქრალ კერიის,
ზღაპრების ცეცხლით როცა იწვოდა—
ქონდა თათრულად მიმოწერილი.
„ნაცარი იყო მისი ქალაღდი.

„მისი გული ვართ ჩვენ მისი ძენი
გრძელდება გვარი ჯიშთან მოდგმის,
სახელგანთქმული სამაზრო ბრძენის
სისხლი გლეხური ჩვენამდი მოდის.

ბრძენმა იცოდა: ქვის დაბადება,
ხურგის გაჩენა ძველთა-ძველადი,
ბრძენმა იცოდა ცაზე ვინ იყო
ქექა-ქუხილის ბელადი.

ამოვსებული ბოლმით ყელამდი
ხურგის ამოთხრას ვერ ურიგდება,
დარჩა ნაბიჯი სახრჩობელამდი—
განადგურების მახე იგება.

ასორმოცი წლის ბრძენი, ბებერი
ჩამოსევდილი, თავაზიანი,
დგას, ეუბნება აჩრდილის ფერი:
„რათ მიაყენეთ ხურგებს ზიანი“.

საეკლესიო წმინდა ამბავი,
მრავალპიროვან ღმერთების დედა...
ყრია მიწაზე წიგნთა ნაგავი,
გმობს, უღმერთობას თამამად ბედავს.
ღმერთებზე უფრო უნაღდესია
მისთვის ნაჯახი ვინც გამოჰქედა,
მაგრამ ნაჯახის პირალესილის
შეეზარება განათხოვრება —
ასეთი იყო ბრძენის ანდერძი...
ასორმოცი წლის გრძელი ცხოვრებას
გადაუტყდება შუაში ღერძი.

ააგუგუნეს ხმები ძლიერი:

„ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი“...
ქველო გრძნობებო და ბალღინჯებო,
ძველო კუნტებო და მახინჯებო,
ერთად ყოფნაში დაიხოცებით.
მოსახლეობის 20%

ერთად მღეროდა ხმებით ძლიერით:
ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი.
ამოვსებული ბოლმით ყელამდი
იციინის, ძნელად გასაგებია,
დარჩა ნაბიჯი სახრჩობელამდი—
ხურგის ნალველი და ტრაგედია.
როცა ესმოდა ხმები ძლიერი:
ერთად ვიქნებით ჩვენი ბედნიერი,—
ახსენდებოდა ბრძენის ნათქვამი:
მხოლოდ მისია კვერცხი ქათამის,
ვის ბუდეშიაც დადებულია!!.
„ყოფნა ღარიბიც დიდებულია,
თუმც სიღარიბე არის ვერაგი:
შენ არ გაცვია ნიფხავ-პერანგი“.
როგორც მიწაში ძველებურადა
თითქოს თანასწორუფლებიანი:
ცხოვრობენ, სვამენ, სჭამენ ძმურადა
ხარი, ძროხა და ადამიანი.
ასე ყოფილა მამა-პაპური
გომური გლეხის თავშესაფარი...
თუ ექნებოდა ღვინო და პური
და სადღეობით დაკლული ცხვარი.
გლეხი ცხოვრობდა
მუდამ გლეხურად...
ცხვარი ეცვა და ცხვარი ეხურა,
გასაჭირშიაც ამღერებულა:
სული ამომძვრეს ღამისა,
მაინც მოქმელი ვარ ამისა,
„მე ვარ და ჩემი ქობ-მანხი
გამთენებელი ღამისა“.

ხშირათ ყოფილა, შხამი გველური
გულში ნალველად დაეგუბება.
იგი ბრაზდება, როგორც ველური
და ცოლს მრისხანეთ წაეჩხუბება.
მათი ცხოვრება შექმული წვირით
ნესტიანია და ჭირნანახი,
როს მოგახსენოთ მათივე პირით
კაპიკად არ ღირს მათი ქობნახი.
თუმცა გარშემო ხარის ნეხვია
გული მაინც არ გაუტეხია,
ზამთარ-ზაფხულში მუდამ გლენხურად
ცხვარი ეცვა და ცხვარი ეხურა.
ბინა პირმეტყველოთ,
ბინა პირუტყვთა,—
აბა რასა გაეს მათი ბუნაგი?...
აქ მოდიოდა ჯვართ მამაო—
ლორი, წუწკი და მსუნაგი.
ეს მაშინ იყო... ელვა-მეხადა
მალლა ეჭირათ მემამბოხეებს
დროშა წითელი, სადაც ეხატა:
ომი დარბაზებს! დიდება ქოხებს!
შემდეგ ცხოვრება სხვაფერ აღელდა,
შემდეგ ბევრი რამ გადასხვაფერდა:
დიდ გარდატეხის დიად გმირებმა,
ჩვენი ქარხნების ბრიგადირებმა
ხოლტის რაზმებით გაიომურეს:
ომი ქოხ-მახებს, ომი გომურებს!
ნესტიან ყოფას და სივაგლახეს!
ძირს სილატაკე! ვიბრძვით მზისათვის
ჩვენ სადარბაზო ცხოვრებისათვის.

გაჩნდა დროშაზე სხვა ლოზუნგები:
მოსპეთ მიჯნები, მოსპეთ ხურგები!
შემდეგ ცხოვრება სხვაფერ აღელდა
შემდეგ ბევრი რამ გადასხვაფერდა:
თათარის ქალმა ჩამოიხია
ათასწლოვანი შავი მანდილი,
ბევრი ოცნება თვალმა იხილა,
ბევრი ოცნება გახდა ნამდვილი,
შემდეგ ცხოვრება სხვაფერ აღელდა
შემდეგ სოფელი გადასხვაფერდა:
სამოქალაქო ცეცხლით გაშლილი
მოვიდა წვიმა აგიტაციის,
ყვიროდა ცეკა და ჯულაშვილი
კულაკურ კლასის ლიკვიდაციას
დიდია სივრცე გადასახედი,
გადაუხნავი თუ გადახნული, —
ის შეაჩერეთ იგი თავხედი
მიღწევისგან თავბრუდასხმული —
ყვიროდა ცეკა და ჯულაშვილი
ათასენიან პრესად გაშლილი
და ლენინიზმით იარაღასხმული.

„ბედნიერების დრო ახლოს არი,“ —
ყვირის, ქაქანებს გმირულ მანიით,
ამხედრებული მაღალხმოსანი
საგაზაფხულოთ დიდ კამპანიით. ||
იგი მებრძოლი, თავდადებული
და გაქანება 100⁰/₀-ით,
გეგმა-გეგმაზე დალაგებული
მიდის პორთფელით და... გაოცებით.

თესვა რა არის... საგაზაფხულო
გეგმის ქალაქი აქვს ავებული,
და კომუნიზმი ჯერ არნახული
შემოდგომისთვის განალდებული.
ერჩის გმირული გამბედაობა,
ხმების ქუხილი კარით-კარამდი,
სოციალისტური მეურნეობა
უნდა გამართოს, როგორც პარადი:

„არის პრინციპი ნებაყოფილი,
კერძოთ დარჩები? შენი ნებაა,
მეურნეობა გაქვს დაყოფილი,
ერთიანობის არ გაქვს შეგნება?
მაგრამ მშვიდობით... კოპერაციას
თუ არ დარჩება შენთვის ფართალი...
დაინახავენ შემოდგომაში
თუ ვინ იქნება მტყუან-მართალი.
თქვენ უპატრონოთ დაიხოცებით
ძალდატანება აქ რა შუაშია,
თუ არ იქნება 100%-ით
ერთიანობა მთა და ბარშია.

ამაღლებული მისი მეობა
ქუხს და „მზესავით არის მარადი“,
სოციალისტური მეურნეობა
ბარში გამართა, როგორც პარადი.

„... არის კომუნად გადაქცეული
100%-ით მასსა შევიდა“,—
ალაპარაკდა აღტაცებული

პრესის ფურცლებზე დებუებითა.
მიდის პორთფელით და... გაოცებით
აქვს სოცშეჯიბრი შორეულ მაზრის,
ხელშეკრულება: 100⁰/₆-ით,
ნებისყოფა და გმირული აზრი (!)
მორჩა პარადი ნათარეულით,
ცეკვით, დაირით, სასიმღეროთი,
მიღწევებისგან გადარეულის
რეგოლიუციის სადღეგრძელოთი.

ამოვსებული ბოლმით ყელამდი
იციინის ყალბად, გასაგებია,
დარჩა ნაბიჯი საღრჩობელამდი
ხურგის ნაღველი და ტრაგედია:

„იცით მუშა ვარ, კაცი—კაკალი,
შემომამქვს მიწა, ჩემი საბანიც.“
და მოაწერა ხელის კანკალით
გლებზე ქაღალდზე ჯვარის ანბანი.
ქონდა სხეული გადათარული
ომისდროინდელ ძველი მაზარით,
ქონდა გულშიაც სევდა ფარული.
მოქეიფეთა გაჩნდა ბაზარი.
მან მოითხოვა ნათარეული...
„დამისხი, დამალევიწე“,
თან სულიც დამალევიწე.

გვერდით მიუჯდა კაცი მსუქანი,
სახე წითური, ოფლის კამარით,
გადაისწორა ულვაშის რქანი.
მუცელზე ერტყა ვერცხლის ქამარი...

„გზა დაულოცე გადასახლებულს,
სადაც შეფეა ყინვა და ქარი
მე იქ მივდივარ...“

მიმაქვს სული და მარტო ქამარი...
იბედნიერეთ,

გაგიხარიათ,
დღეს ჩემი ხარი
თქვენი ხარია.

მოსპევით ხურგი, კერა, სახლ-კარი
ერთად იჩხუბეთ, ერთად დაჰკარით.
ათასწლოვანი მოსპეთ კორღანი
გაშალეთ ველი სიგრძე-სიგანით...

ვიყავ მდიდარი?

გამარჯობათ?

თქვენ ხართ მდიდარი.

არ ვარ პატრონი მე ძველი მიქა
მინდვრებზე ყანებ გადაშლილისა,
აიღე ჭიქა—

წყევლა და კრულვა შენი შვილისა,
ყინვა და ქარში...

აბა რა გამაძლევინებს...

„დამისხი, დამალევინე“
თან სულიც დამალევინე.

„მე მიხარია ჩემი შინისა,
არა მომტერე ჩემი შვილისა,
მწამს საკუთრება და მეშინია
მეზობელების ავი თვალისა,
ათასი წლის ვარ და იმედი მაქვს

ჭიშკარზე ცხენის თავის ქალისა.
 ჩემია იგი... ქვაა თუ როკი.
 მტკაველა მიწამ უნდა მარჩინოს,
 დავეკიდები ღირეზე თოკით,
 რომ ხურგი სიკვდილს გადავარჩინო.
 არ მაქვს იმედი მთა-ველებისა
 დიდ სივრცეებზე გადაშლილისა,
 ვსვამ სადღეგრძელოს თაველებისა—
 წყევლას და კრულვას ჩემი შვილისა.
 მოკვდეს, გაქვავდეს წაქცეულ ხედა,
 კრულვაი მისი არ მეძნელება
 რადგანაც შვილში მე აღარ ვხედავ
 ჩემი სიცოცხლის მსგავს გაგრძელებას.
 „ხომ ჩემ წინაშე დაეცა ღმერთი,
 თხის წვერიანი, თიხის ბებერი,
 აღარ გადარჩა ცაზე არც ერთი...
 აღარც მიწების კანონმდებელი—
 ღმერთი—კორღანი ათასწლოვანი.
 და როგორც გლები სამპიროვანი
 არ დგას მინდორზე ძალგულოვანი.
 მდინარეშია გადახვეტილი
 ღმერთი ნაცემი და დახვრეტილი.

შინ მთელი ღამე ედავებოდა
 თავბრუდასხმული შვილი მამასა:
 მამა მითხარი როდის ჩამოხსნი
 ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასა...
 ხომ ხარ ზეციურ ძალთა მგმობელი.
 მ. სანამ ცოცხალ ვარ და თემ-შარაზე
 უცხო გაივლის თუ მეზობელი...

თვალის ძალა მწამს, ის ანადგურებს
მტრულად ანთებულ თვალის ძალასა,
ბრძენმა დაჰკიდა, მე არ ჩამოვხსნი
ჭიშკარზე ცხენის თავის ქალასა.

შ. შეხორცებიხარ პირ-მეტყველთ მოდგმა
პირუტყვთ თავლასა...

მ. გომურის ნაცვლად დიდი ქარვასლა
ააგე ჩემთვის თუ შეგიძლია.

შ. კერძო ქარვასლებს მე არ ავაგებ,
არც ვარ მემკვიდრე შენი კერისა.

მ. წადი მომშორდი, თავი წააგე,
შვილი ხარ, გიძგერს გული მტერისა.

შ. შენი აზრები შენ გემტერება,
ნებზე ცხოვრება ვერ შეგიცვლია,
მე შემიძლია ბედნიერება

მოგცე, სიახლე თუ შეგიძლია.

მ. ბრძენის ნათქვამი მემახსოვრება,
ბრძენს შენზე მეტი დაეჯერება:

„სჯობს შეჩვეული ჭირში ცხოვრება
შეუჩვეველი ბედნიერებას!!“

გააბათილა ღმერთი დროებამ,

მექოთნეების გაკეთებული,

მექოთნეების ანკესს მოება,

დღეს ჩემს გულშია გამეფებული

საკუთარ მიწის სარწმუნოება.

მიწას საპურეს თუ სავენახოს

მენაც ვეყოფი, შენ არ მჭიროდე,

კარგი იქნება არ დამენახო,

კარგი იქნება დამიტყუოდე.

წავიდა შვილი, როცა წყვედიადი
ჩავიდა, როგორც მგოსნების მწირი,
მზე ამოვიდა, როგორც დიადი
ორიგინალურ პოემის გმირი“.

და გუგუნებდა ხმები ძლიერი:
ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი.
ძველო გრძნობებო და ბალღინჯებო,
ძველო კუნტებო და მახინჯებო
ერთად ყოფნაში დაიხოცებით
მოსახლეობის 20%
ერთად მღეროდა ხმებით ძლიერით:
ერთად ვიქნებით ჩვენ ბედნიერი.

კაცი უდროოდ დაბერებული,
რომელიც იდგა ოდნავ მოხრილად,—
მე მეუბნება გახარებული:
თურმე იქნება ძველი კოლხიდა
ნაირნაირად აყვავებული.

კარგი საქმეა, ლხენა და შეება...
ნაყოფი შრომის და ოფლის ღვრისა:
ჭაობი შრება, ჭაობი შრება!
უნდა აყვავდეს ხმელეთი ზღვისა,—
სუბტროპიკული სანაპირონი!
და კალაპოტში უხსოვარ ხნისა
ადიდებული ჩადგეს რიონი.

აი მოხუცი, ღამით სიზმარში
ღევებს, ვეშაპებს თურმე შეება...
ახლა წყალმანკით სნეული
ზის ბაიდაში მუცელვეება.
იცის კოლხიდა, სად საშინელი
ციებ-ცხელების სიმწუხარეა;
გაყვითლებული როგორც ჩინელი
ზის და სიცოცხლე არ უხარია.
იცის კოლხიდის დაბლობი,
ჭაობების ველები,
სადაც მოდის წვიმის ღვარი,
ჩნდება ცისარტყელები.
სად უკბილო დედაბერი
ეუბნება ყველასა:
„კბილი აღარ ანახო

ქალო ცისარტყელასა*!
იცის კოლხიდის დაბლობი,
ამბები სასახელონი
ქვეყანა მუდამ ნოტიო,
ჭაობები და თხმელონი...
სად ნავებით შედიან
ტყეში ჭალადიდელები...
ჭაობებში იჭერენ
წურბლებს ჭალადიდელები.

დალუბულის ამბავი
აი შარშანწინდელი:
სანადიროთ წასულა
ვინმე ჭალადიდელი...
სახლში აღარ მოსულა.

გახედავ ზღვიდან, მოსჩანს ხმელეთი
შენი იმედი და სიხარული,
ფეხებს აბიჯებ, ირყევა იგი—
ტბაა მინდორით გადაფარული...
დალუბულის ამბავი
აი შარშანწინდელი:
სახლში აღარ მისულა
სანადიროთ წასული
ვინმე ჭალადიდელი.

ჭალადიდელებს ყავთ კამეჩები,
რაა ჭაობებში მათთვის გზა და ხიდი,
კამეჩებს უნდა ტბა და ჭომა დიდი,
კამეჩებს მიტომ უყვართ ჭალადიდი.
ჭალადიდელებს სძულთ ჭალადიდი,

მქალი თხმელონის ფურცელგადამწვარი,
 იციან ცხელი ღომის ჭამა ღიღი—
 მათ ენატრებათ მთა და წყაროს წყალი.
 მათ ენატრებათ ჰაერი სუფთა,
 გამშრალი მიწა და თეთრი პური,
 მათ ენატრებათ მზიანი სუნთქვა
 და ნაძვნარების ტყე უდაბური.
 მათი სურვილი „ცასაც მოხრიდა“—
 სძულთ ჭაობების თავშესაფარი...
 პოეტებს უყვართ მაინც კოლხიდა,—
 არგონავტებზე რალაც ზღაპარი.

ქალადიდელი ღამით სიზმარში
 დევებს, ვეშაბებს თურმე შეება...
 ახლა წყალმანკით სნეული
 ზის ბაიდაში მშუცელვეება.

დაბერებულს მეთევზის
 მაინც ქონდა ყაიდა:
 პალიასტომს შეაგდო
 კოლექტივის ბაიდა.
 გადაეკრა ყველაფერს
 სალამოის ელფერი,
 პალიასტომს მივდივართ
 მე და ჩემი ბებერი.

ტბაზე კიფალების
 ხტუნაობა ისმოდა.
 ატამანმა მეთევზეთ
 ბადე გადასროლა.
 პალიასტომს ვიგონებ,

პალიასტომს გრივალში,
დაელუბა ნინოშვილს
საყვარელი გმირები.
ტბაზე კიფალების
ხტუნაობა ისმოდა,
ატამანი მეთევზეთ
ბადეს გადაისროდა.
მეთევზენი ნავებში
თევზებს, თევზებს აყრიან...
ჭაობები, ჭაობები
ტბას გარშემო არტყია...

—

წამოვიდა ნიაღვარი,
მესმის ზღვისა მქუხარება,
რიონს მიაქვს თქვენი ყანა,
მესმის თქვენი მწუხარება.
წამოვიდა ნიაღვარი,
რიონს ზვირთებ ტანიანს
თქვენი ყანა და სოფელი
ზღვაში გაუტანია...
გადაიღო ნიაღვარი,
ჩაქრა ზღვისა მქუხარება...
მესმის თქვენი სინანული,
მესმის თქვენი მწუხარება...
მესმის თქვენი გიტარაზე
სიმებისა მე ჟღერანი,
მესმის თქვენი მოგონებით
სევდიანი სიმღერანი
ქალადიდელ გოგონების:

კაცი, ქალი და მცენარე
ყვითელღერებიანი,
ქალადიდი, ქალადიდი
ციებცხელებიანი.
ლპება მიწის ზედაპირი
წვიმაა თუ დღე მზიანი,
ქალადიდი, ქალადიდი
ქალა ლაქაშ-ტყიანი.
კვდები, ველარ გელირსება
შენ ცხოვრება გვიანი...
ქალადიდი, ქალადიდი
ქალა ქაობიანი.

ამოსაშრობი სივრცე მოხაზეს
აუტანელი სამუშაოთა...
უნდა აყვავდეს ფოთის ბოლაზი,
დასატვირთავად გეჩი შემოვა,
რომ გაიტანონ ქალადიდიდან
სუბტროპიკული ქვეყნის დოვლათი...
ქაობს ებრძვიან ბოლშევიკები
და კომკავშირის ბრიგადირები,—
დღეგრძელი იყოს თქვენი სიცოცხლე!
დიდ გარდატეხის თქვენ ხართ გმირები!
კარგი საქმეა... ლხენა და შვება
ნაყოფი შრომის და ოფლის ღვრისა,
ქაობი შრება, ქაობი შრება!
უნდა აყვავდეს ხმელეთი ზღვისა!
სუბტროპიკული სანაპირონი!
და კალაპოტში, უხსოვარ ხნისა
ადიდებული აღგეს რიონი.

ოპივატელი – როგორც ნამდვილი ცხოველი

მაღალ სართულზე, შუაღამისას
მელოდიურად უკრავს როიალი,
ისმის სიმღერა მომაკვდავისა
და მომღერალი თითქოს მგლოვიარე
დგას, ინაზება ოპერის ქალივით...
თითქოს ცხოვრება დავიწყებია.
მღერის არიას „გულის ქავილით“:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“...
მისი თვალები წამლით ჩამწვარი
თითქოს კარდონში არის ჩადგმული,
ჩავარდნილი აქვს გულის ფიცარი
თითქოს არ ქონდეს ამ ცხოველს გული.
თითქოს ქონოდეს ოდესმე თავი
და უაზრობით ტვინი დაშლილი
თითქოს არ იყოს ნამდვილი ქალი —
როგორც ნახატი გუდიაშვილის.

თითქოს თოვლივით „სევდის მთოველი“,
მღერის არიას ნაზი ცხოველი,
წარმავალია მისთვის ყოველი
გარდა უთვალავ ეკლესიების...
სძაგს „პოეზია ყოველდღიური“,
ქალბატონს უყვარს ძველი სიები,
იცის ზეპირად, ისტორიული
მხოლოდ დატეხი და ვერსიები.

ხდება ქალაქის რეკონსტრუქცია,
 მოსპეს, აყარეს ძველი უბანი,
 ქალაქს აზიურ სახეს უცვლიან.
 მაგრამ შარჟივით კინტო მსუქანი
 თეატრებში თუ მოიპოვება
 ასე გვიმღერა აშულ-პოეტმა:
 მათი ცხოვრების მიმქრალ პოემას
 გარდასულ ჟამთა ცა გადმოტირის,
 მაგრამ არ ესმის „მამას“ შვილისა:
 კინტაურული მოკვდა მოტივი,
 როგორც ლექსები გრიშაშვილისა.
 (გრიშაშვილური მოდის მეგონები
 ქალს კაბებივით გამოუცვლია...
 დღეს იმის ლექსებს კრიტიკოსები
 ებრძვიან, როგორც პროსტიტუციას).

ქუჩებზე მიდის კარნავალთ რიგი,
 ღელავს დროშები, დროშები კიდეც,
 მაღალ სართულის ფანჯრიდან იგი
 მომცრო გალაქულ თავს ჩამოკიდებს.
 მაღალ სართულის ფანჯრიდან თავი
 პარადს დაყურებს, თითქოს კიღია,
 ქუჩებზე ღელავს დროშების ზვაგი—
 ამღერებულნი მწყობრად მიდიან.
 თავი პატარა და გალაქული
 შზის შუქზე ბრწყინავს, სხეულს აციებს,
 გრძნობს ღვარძლიანად კაპასი გული
 მის წინ მიმავალ დემონსტრაციებს.
 ამხანაგები, ვიცი, მეტყვიან—
 საყვედურებს და შემაგინებენ:

მე დვარძლიანი ლექსების ტყვია
ამ ცხოველისთვის რატომ ვინებე,—
როცა ვაშენებთ სოციალიზმს დაკვრით
ფოლადისებურ ნებით მთლიანით,—
დამიწერია, და ისიც ნაკლი
დეფიციტიან ადამიანის.

აღგილს იკავებებს „სევდის მთოველი
იგი უღონო გულით მგელია,
კომუნისტების „სისხლის მწოველი“,
მაინც პატარა მავნებელია.

არის კურსისტკა თუ პოეტესა,
გარდასულ ჟამთა თანაზიარი,
ჩემი კრებულში ის მოეთავსა
ვით იშვიათი ეკზემპლიარი.

ამხანაგებმა იგი იციან—
მრავალთა შორის გამოკლებული...

მე შევადგინე დეფიციტიან
მოქალაქეთა მთელი კრებული!
მართლაც რომ ბედი არ უწერია—
იაკობ ხუცესის მტვერით გატენილს,
იგი კრებულის ნაღდი წევრია,
როგორც მტერი და ობივატელი.

აქ ძველებ შორის ესტყვით ძველებურად
ლოთი-მოთი და ლექსები
მკლავში ერეკლეს ძველები გვაქვს
ტანში ერეკლეს ფესვები.

(პავლე გორგასლან“).

როდესაც დგამენ ახალ გიგანტებს
სთქვით რა ცეცხლი გაქვთ ან და რა გული.
თუ ზურგიტ თვითონ არ მიიტანვთ
სიტყვა კი არა, ნაღდი აგური.

(„დავეწიოთ და გავუხსწროთ“).

დაცარიელდა ძველი ზანდუკი...
ჭაობებიან მწერალთ სამეფო...
მოხუცებული „თვალი ჭაბუკის“
წარსულს უმზერის, კალმოსანებო!
თუ ჩვენი დროით ხართ უმადური,
ჩვენ გვეჯახება თქვენი მიზანი:
„დამპატიე“ და „გივი შადური“—
ფედერაციის „ჯაყოს ხიზანი“!
აი მწერალი... „მარცხენა თვალით“.
(მარჯვენა წიგნის სათაურია)
იგი ნადირობს მიმინოებით,
იგი ხომ დღესაც აზნაურია.
მოიშამილებს (!) ეს ჩოხოსანი,
სად შამილი და მიმინო ხელზე?
დღეს რუსთაველზე დადის „მგოსანი“,
მამაპაპურად შემჯდარი ცხენზე.
როცა მძაფრდება ჩვენი შეტევა,—

თქვენ რომელ ფრონტზე ხართ დამკვრელები?
ნუ თუ ის ვარგა, განუწყვეტელად
ბკობდეს, ლაყბობდეს მკვდართა ლოდებზე —
მკვდარი სულების ფედერაცია!
დიად ეპოქის რჩებით გარეთა,
გახდით დუმილით ამბოხებული,
ელექტრო ძალამ დიდ მდინარეთა
ველარ გაათბო ზებერის გული.
შემოტრიალდით... ხატეთ გმირები
ძღვევამოსილი ჩვენი მიზნისა...
გამოიღვიძეთ... სცადეთ... მოგვეცით
ტილო ეპიურ სოციალიზმისა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ციკლიზმის კალატოზებს	5
ნასიტყვაობის მაგიერ — ერ. ასტვაცატუროვი .	7
პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია	17
არღანი.	29
ალადიდი	41
ბივატელი — როგორც ნამდვილი ცხოველი.	46
შეკვდარი სულები“-ს ფედერაცია.	49

ფრ. ნაროშვილის

პირველი წიგნი

„პოემები“

გამოცემა: „სახელგამი“ 1930 წ. გვ. 182.

ახლო მომავალში ცალკე წიგნად გამოვა

ფრ. ნაროშვილის

ახალი პოემა

„ომი და სოციალიზმი“

